

K 62.087
2

ს. მ. ნ. შ. ი. შ. შ.



ქართული
ბიბლიოთეკა

მ ზ ა ღ ე ბ ა
ს ა ბ ზ რ ე ბ ი ს
ა რ რ ე ვ ნ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს

ს ა მ ე ღ ბ ა შ ი 1981



83

Handwritten signature or mark

ა. ე. ნ. შ. მ. ი. ძ. ი.

ბიბლიოთეკის
ნომერი 352

საქართველოს საბჭოთაო სოციალისტური რესპუბლიკის
მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკა

ფილანთოპიის არქივებისათვის

Handwritten notes on the left margin:
~~622~~
648
544
675130

ფილანთოპიის
არქივისათვის
ბიბლიოთეკის
ნომერი 352



ქართული
ბიბლიოთეკა

K62.087
2

საქართველოს
პარლამენტის
ქართული
ბიბლიოთეკა

სახელგამის 1-ლი სტამბა. კლდხანოვის გამზირი, 91.

შეკვეთა № 993.

მოთვარლიტი № 2253.

ტირაჟი 3000.



ქართველნი
ბიზლიჩთეკა

მზადება საბჭოების არჩევნებისათვის.

საბჭოების მომავალი საარჩევნო კამპანია ჩატარებული იქნება, ერთის მხრით, გაშლილი სოციალისტური მშენებლობის დროს ჩვენს ქვეყანაში, სადაც წარმატება წარმატებას მისდევს, და მეორეს მხრით, თანდათან გამძაფრებული კრიზისის დროს კაპიტალისტურ ქვეყნებში, სადაც ეკონომიური რღვევის პროცესი წარმოების ახალ-ახალ დარგებს ედება და უფრო და უფრო ადიდებს უმუშევართა რიცხვს, რომლებიც სიმშვილისა და სილატაკისთვის არიან განწირულნი, საბჭოების სრულიად საკავშირო მე-V ყრილობიდან ჯერ კიდევ ორი წელიც არ გასულა, მაგრამ ისტორიულად ამ მცირე ხნის განმავლობაში ჩვენი ქვეყნის მთელი სახალხო მეურნეობის სოციალისტურმა რეკონსტრუქციამ გიგანტიურად წაიწია წინ. სახალხო მეურნეობის მშენებლობის ხუთწლიანი გეგმა, სსრ კავშირის საბჭოების მე-V ყრილობის მიერ დამტკიცებული, წინააღმდეგ ყოველგვარი მემარჯვენე-ოპორტუნისტული ლაყბობისა, რომელიც ამ გეგმის „განუხორციელებლობას“ წინასწარმეტყველებდა ვითომ იმის გამო, რომ „შეუძლებელი“ ტემპებია აღებული ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის განვითარებისა და სასოფლო მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში, მიუხედავად ყოველივე ამისა, განვლილი ორი წლის განმავლობაში არა თუ



წარმატებით სრულდება, არამედ სრულდება გადაქცე-
 ბით. ხუთწლიანი გეგმის განხორციელების უკვე პირველ-
 სვე წელს გეგმიანმა მრეწველობამ გადაჭარბებულ-
 დინს, რაც ამ წლისათვის ხუთწლიანი გეგმის მიზნებზე
 რაუდები, და 21,4 პროც. მაგიერ პროდუქციის 24 პროც.
 ზრდა მოგვცა. ხუთწლედის მეორე წელმა სამრეწველო
 პროდუქციის ზრდის კიდევ უფრო მეტი ტემპები მოგვცა,
 რაც, როგორც საკ. კომ. პარტიის (ბ) მე-XVI ყრილობის
 რეზოლიუციაშია ნათქვამი („მრეწველობის ხუთწლიანი
 გეგმის განხორციელების შესახებ“), „უზრუნველყოფს,
 ჯერ ერთი სახელმწიფო გეგმიანი მრეწველობის საერთო
 პროდუქციის ზრდას 65 პროცენტით ხუთწლიანი გეგმის
 პირველი ორი წლის განმავლობაში, ხუთწლედის პროექტ-
 ტით ნავარაუდევ 47,5 პროცენტის მაგიერ, და, მეორეც,
 აგრეთვე უზრუნველყოფს მრეწველობის ზრდის ტემპე-
 ბის თვალსაჩინო გადიდებას 1928-1929 წლიდან 1929-
 1930 წლამდე“.

საბჭოთა სახელმწიფოში ინდუსტრიის ზრდა და განსა-
 კუთრებით კი ისეთ ინდუსტრიასა, რომელიც საწარმოო
 საშუალებათა მწარმოებელია, „ამ ორი წლის განმავლობა-
 ში (გეგმიან მრეწველობაში) გაიზრდება 88 პროცენტით,
 ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ 58,4 პროცენტის
 მაგიერ“ (სკპ (ბ) მე-XVI ყრილობის რეზოლიუცია), რაც
 სავსებით უზრუნველყოფს საბჭოების სრულიად საკავ-
 შირო მე-V ყრილობის იმ გადაწყვეტილებათა განხორ-
 ცილებას, რომლებიც ჩვენი აგრარული ქვეყნის უმოკლეს
 დროის განმავლობაში ინდუსტრიალურ ქვეყნად გადაქ-
 ცევას შეეხება. უფრო მეტიც, თანდათან მოზარდი საწარ-
 მო ენტუზიაზმი მასებისა, რომლებმაც გამოაცხადეს ხუთ-
 წლიანი გეგმის 4 წელიწადში განხორციელება, იმას მოწ-

მობს, რომ მე-V ყრილობის მიერ დასახული მუშაობის ტემპები შეიძლება უფროც ამაღლდეს და, მაშასადამე, ჩვენი აგრარული ქვეყნის ინდუსტრიულურ ქვეყნისა და სოციალისტური ისტორიული ვადაც შემოკლდეს. გიგანტური

ინდუსტრიის განვითარების ამ წარმატებებმა მეტისმეტად შეუწყო ხელი სასოფლო მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის გაშლას, რის გამოც უკვე 1930 წლ. გაზაფხულზე მარცვლეულობის ძირითად რაიონებში კოლექტივიზაციაში საგლეხო მეურნეობათა 50 პროც. ჩაება ნაცვლად 2-3 პროცენტისა 1928 წლ. გაზაფხულზე. ამნაირად, საბჭოების სრულიად საკავშირო მე-V ყრილობიდან გასული ორი წელი სოციალიზმის უდიდესი ზრდის ხანაა, იგი უდიდესი გარდატეხის ხანაა საბჭ. კავშირის სასოფლო მეურნეობაში, რასაც მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა აქვს. მე-V ყრილობიდან განვლილ ხანაში საბჭოთა კავშირმა, მიუხედავად მემარჯვენე პანიკური მტკიცებისა სასოფლო მეურნეობის დაქვეითების შესახებ, წარმატებით გადასწყვიტა მარცვლეულობის პრობლემა და იგი სასოფლო-სამეურნეო წარმოების სხვა ამოცანების გადაჭრასაც ერთობ დაუახლოვდა.

ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიულიზაციისა და სასოფლო მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის ამოცანათა წარმატებით გადაწყვეტამ საშუალება მისცა საბჭოთა მთავრობას დროზე შესდგომოდა კულტურული რევოლუციისა და, კერძოდ, საყოველთაო დაწყებითი სწავლების პრობლემის ნამდვილ განხორციელებას.

სოციალიზმის ზრდა და განმტკიცება საბჭოთა კავშირში, დაცემა და ეკონომიური ღპობა კაპიტალისტურ ქვეყნებში, რომლებიც არსებულ ეკონომიურ კრიზისიდან გამოსავალს საომარ ავანტიურებში ეძებენ, უწინარეს ყოვე-

ლისა სსრ. კავშირის წინააღმდეგ, აგრეთვე სახელმწიფო აპარატის ფაშიზაციასა და მშრომელი მასების, განსაკუთრებით კი კოლონიალურ და ნახევრადკოლონიალურ ქვეყნების ექსპლოატაციის კიდევ უფრო გაძლიერებას წინააღმდეგ; ჩინეთის აღმოს. რკ. გზაზე ომის განხორციელების ვოკაციის ცდა, ჯვაროსნული ლაშქრობის მოწყობა, საბჭოთა ექსპორტის წინააღმდეგ ბრძოლა, სსრ კავშირის მეზობელ სახელმწიფოთაგან ანტისაბჭოთა ყოველგვარი ბლოკის მოწყობის ცდა, სიცრუისა და ცილისწამების ხმარება. — აი ის იარაღი, რომლითაც კაპიტალისტური მსოფლიო სოციალიზმის მშენებელ სახელმწიფოს ებრძვის. მსოფლიოში პირველ მუშურ სახელმწიფოსთვის დაღრჩობის ასეთი ცდები მუშებისა, ლარობ-საშუალო გლეხებისა და მთელი ქვეყნის მშრომელთა მასებს აიძულებს ემზადოს საბჭოთა კავშირის დასაცავად იმპერიალისტების თავდასხმისაგან.

საბჭოთა სახელმწიფოს დასაცავად პროლეტარიატის მზად ყოფნას ჩვენ არა მარტო საბჭოთა კავშირში ვხედავთ, არამედ მის გარეთაც. კავშირის შიგნით, მუშათა კლასი და ყოველი მშრომელი, რომელიც ხუთწლიან გეგმას 4 წელში ასრულებს და სოციალიზმს ამტკიცებს, ამითვე სასიკვდილო ლახვარს სცემს კაპიტალიზმს. პროლეტარები და მშრომელთა მთელი მასები საბჭოთა კავშირის გარედ, რა კი კაპიტალისტებს ებრძვიან, ამითვე საბჭოთა კავშირს ამაგრებენ.


საბჭოთა არჩევნების მოახლოვებულ კამპანიაში და განსაკუთრებით კი საბჭოების მიერ თავიანთ ამრჩეველთა წინაშე ანგარიშის ჩატარების დროს საჭიროა კარგად გააცნოთ ამრჩევლებს საბჭოთა სახელმწიფოს საერთაშორისო მშვიდობიანი პოლიტიკა და საარჩევნო კამპანია ფარ-

თოდ გამოიყენოთ მასების ინტერნაციონალური ბრძოლის მიზნით და ნაციონალურს აღმშენებლობაში გენერალურ ხაზიდან გადახვევის წინააღმდეგ ბრძოლაში.

საბჭოების მომავალმა საარჩევნო კამპანიამ, მეტის-მეტად უნდა შეუწყოს ხელი სოციალიზმის მშენებლობას. საბჭოთა სისტემის ყველა ორგანო მობილიზაციაქმნილი უნდა იქნეს იმისთვის, რათა შესძლონ მასების თაოსნობისა და აქტივობის გამოყენება საბჭოებისა, სამეურნეო-კოოპერატიულისა და სოციალურ-კულტურული მშენებლობის გარკვეულ დარგებში.

წარსული საარჩევნო კამპანიების გამოცდილებით ვიცით, რომ ამა თუ იმ ორგანიზაციის, ამა თუ იმ დაწესებულების აქტიური მონაწილეობა საბჭოების საარჩევნო კამპანიის მომზადებასა და ჩატარებაში არა თუ ხელს უწყობს მხოლოდ ამ საარჩევნო კამპანიის წარმატებით დასრულებას, არამედ ამრჩევლთა შორის წესიერად ჩატარებული საწარმოო პრობაგანდა უდიდეს საწარმოო ეფექტს იძლეოდა. საკმაოა გავიხსენოთ საბჭოების, ცალკე საწარმოებისა და ორგანიზაციების ურთიერთ გამოძახება და საბჭოების არჩევნების საუკეთესოდ ჩატარებაში მათი შეჯიბრება იმ მიზნით, რომ გაეუმჯობესებიათ წარმოება, განემტკიცებიათ შრომითი დისციპლინა, ებრძოლათ პროდუქციის საუკეთესო თვისებისთვის და გაეიაფებიათ მისი ღირებულება და სხვ., საკმაოა გავიხსენოთ ყოველივე ეს, რათა გავიგოთ, რამდენად დიდია საბჭოების საარჩევნო კამპანიის მნიშვნელობა სამრეწველო მშენებლობის ტემპების გაძლიერების თვალსაზრისით.

საბჭოების საარჩევნო კამპანიის ჩატარებასთან დაკავშირებით 1929 წელს ჩვენ ვხედავთ დიდ ძვრას საკოლმეუ-



რწეო მოძრაობაში და სოფლის ამრჩეველთა მორიგის ჩატარებული დიდი სააგიტაციო მუშაობის წყალობით თვალსაჩინოდ გადიდა 1928 წელთან შედარებით მუშაკთა საგაზაფხულო ნათესის ფართობი, გაიზარდა მუშაკთა გამოყენება, ჩატარებულ იქნა დიდი სამზადისი მანებელთა წინააღმდეგ ბრძოლისთვის და სხვ. საარჩევნო კამპანიაში საბჭოთა მეურნეობის მუშების მიერ აქტიურმა მონაწილეობამ, იმ გარემოებამ, რომ საბჭ. მეურნეობანი არჩევნების ხელმძღვანელ პოლიტიკურ შტაბად იქცა სოფლებში, განამტკიცა მუშების გავლენიანი ხელმძღვანელობა სოფლისადმი და გაამაგრა კავშირი მოჯამაგირეებისა და ღარიბებისა საშუალო გლეხობასთან.

საბჭოების მორიგის საარჩევნო კამპანია გაიშლება ინდუსტრიალიზაციის, საბჭ. მეურნეობისა და კოლმეურნეობის უდიდეს წარმატებათა ფონზე, იგი განვითარდება თანდათანობით მოზარდი ტემპების ფონზე, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ყოველი მშრომელისგან ძალის უფრო და უფრო მეტ დაძაბვას მოითხოვს. საბჭოების ამ საარჩევნო კამპანიაში უფრო მეტად, ვიდრე წინედ იყო, უნდა გაჩაღდეს მუშაობა მასების სამოხილიზაციოდ. რათა დაძლეულ იქნეს სოციალისტური ზრდის ყოველი დაბრკოლება. ამიტომ საჭიროა მოვახერხოთ, რომ ამ კამპანიაში არა თუ შევინარჩუნოთ მასიური მუშაობის უკვე ჩამოყალიბებული ყველა ფორმა, არამედ უმაღლეს საფეხურზე დავ კი ავიყვანოთ იგი. საბჭოებმა და აღმასკომებმა ყოველ თავის მუშაობაში უნდა გამოიყენონ დამკვრელობისა და სოცშეჯიბრების, სამრეწველო შემხვედრი ფინგემის, ბრიგადების ორგანიზაციისა და სხვ. მეთოდები შრომის ნაყოფიერების ასაწევად, პროდუქციის ხარისხის გა-



საუმჯობესებლად, საწარმოში დანაკლისის წინააღმდეგ
საბრძოლველად და სხვ.

ქრისტეშვილი

საბჭოების საარჩევნო მომავალი კენჭისყრაში მასების მობილიზაციის კამპანია უნდა იქნეს იმის შესა-
მოწმებლად, თუ საბჭოთა ორგანოები როგორ ასრულებ-
დნენ და ასრულებენ პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლე-
ბის დირექტივებს მშენებლობისა და მმართველობის ყო-
ველ დარგში. ქალაქისა და სოფლის მშრომელმა მასებმა
განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ პარტიისა
და საბჭოთა ხელისუფლების დირექტივათა შესრულების,
სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესების, მისი გამუ-
შურებისა და ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძო-
ლის სფეროებში. პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების
დირექტივათა შემოწმებისას, რომლებიც სახელმწიფო
აპარატში მუშების, კოლმეურნეების, ღარიბებისა და მო-
წინავე საშუალო გლეხების დაწინაურებას შეეხება, სა-
ჭიროა შემოკრიბოთ საბჭოთა საზოგადოებრიობა საბ-
ჭოებში კანდიდატურების წამოყენებისა და სახელმძღვა-
ნელო სამუშაოების ირგვლივ.


საარჩევნო შორივ კამპანიაში განსაკუთრებით საჭი-
როა შეამოწმოთ შესრულება პარტიისა და მთავრობის იმ
დირექტივებისა, რომლებიც რაიონისა და სოფლის საბ-
ჭოების განმტკიცებისკენაა მიმართული. პრესის ცნობე-
ბით, სექტემბრის მეორე ნახევარში საოლქო მუშაკების
გადაყვანა რაიონებში სრულიად არადაამაკმაყოფილებლად
სწარმოებს, მაგალითად: იმ 370 კაციდან, რომელიც ოდე-
სიდან უნდა მივლინებულიყო რაიონებში, ნახევარის მე-
ტი არ წასულა; 270 კაც. ლუგანსკიდან წავიდა მხოლოდ
45; კრასნოდარის ოლქის საოლქო პასუხიშვებელ 40 მუ-

შაკიდან წასულა მხოლოდ 4; რიბინისკის ოლქიდან 125
კაციდან რაიონებში წასულა 35 და სხვ.

პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების დაწესებუ-
ლებათა აშკარა საბოტაჟის ამ ყოველგვარ შემთხვევაში
მოვლენის წინააღმდეგ, იმ გადაწყვეტილებათა საბოტაჟი-
სა, რომლებიც შეეხება რაიონების, ამ მთავარი პუნქტე-
ბის განმტკიცებას, სადაც სოციალისტური მშენებლობის
ყველა უმნიშვნელოვანესი საკითხი სწევდა. ამ შეუწყნა-
რებელი მოვლენის წინააღმდეგ დღემდე კიდევ არ გაჩაღე-
ბულა საბჭოთა საზოგადოებრივი ბრძოლა, თუმცა თავის
დროზე რომ სათანადო ღონისძიებანი ყოფილიყო მიღე-
ბული ადგილობრივ, მხოლოდ კერძოდ კი გადაყვანილ
მუშაკებისათვის ბინების და საზრდოს მიწოდებით, ოლქე-
ბიდან რაიონებში მუშების მიზიდვის საქმე უფრო წარმა-
ტებით იქნებოდა განხორციელებული.

საანგარიშო კომპანიის ჩატარებასთან დაკავშირებით
პარტორგანიზაციებმა, საბჭოებმა და ყოველმა ამომრჩე-
ველმა გულმოდგინეთ უნდა გასინჯოს ის მიზეზები, რომ-
ლის ძალითაც საოლქო მუშები არ გამოცხადდნენ რაიო-
ნებში, აღმოაჩინოს და სასტიკ პასუხისგებაში მისცეს ია-
ნი, ვინც პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანესი დი-
რექტივები რაიონების განმტკიცების, სასოფლო საბჭოების
განმტკიცების შესახებ არ შეასრულა. მორიგი კაპვანია
მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული იმისათვის,
რომ კადრები აღმოვაჩინოთ და მივამაგროთ სარაიონო
აღწასკომებს, სოფლისა და ქალაქების საბჭოებს.

საბჭოთა ხელისუფლების ამ ქვედა ორგანოების გა-
ნმტკიცებლად შეუძლებელია პარტიისა და საბჭოთა ხე-
ლისუფლების დირექტივათა სწორი შესრულება, შეუძ-
ლებელია ხუთწლიანი გეგმის მესამე წლის საგეგმო გან-



ზრახვათა წარმატებით შესრულება. რათა განხორციელ-
 ველყოფილ იქნეს საგეგმო განზრახვლებათა წარმატებით
 განხორციელება მძიმე და მსუბუქი ინტერსტრუქტურული განვი-
 თარების საქმეში, საჭიროა, რათა ქალაქებისა და დაბნობის
 საბჭოებმა ყოველი ღონისძიება იხმარონ ბინებითა და
 სანოვაგით მუშების მოსამარაგებლად. ამ მხრივ კი ჩვენ
 მრავალი ნაკლი გვაქვს და ამ ნაკლთა წინააღმდეგ საბრ-
 ძოლველად უნდა მოვიკრიბოთ მშრომელთა ამომრჩეველი
 მასები. საარჩევნო კამპანია ყოველმხრივ უნდა იქნეს იმი-
 სათვის გამოყენებული, რომ ქალაქის საბჭოებმა მუშაობა
 გამოასწორონ და იგი ნამდვილად მიმართონ წარ-
 მოებისკენ.

საარჩევნო მორიგი კამპანიის დროს სოფლად აუცი-
 ლებლად უნდა მოვახერხოთ, რომ სოფლის საბჭოებმა და
 რაიონმასკომებმა ნამდვილად იკისრონ საკოლმეურნეო
 მოძრაობისადმი ხელმძღვანელობა და საბჭოთა ხელისუფ-
 ლების მიერ სოფლებში ჩასატარებლად განზრახულ პო-
 ლიტკურ და სამეურნეო კამპანიების მეთაურობა. სოფ-
 ლის საბჭოებისა და რაიონმასკომების განმტკიცების გზით
 შევძლებთ მხოლოდ ჩვენ თავიდან მოვიშოროთ მთავრო-
 ბის დირექტივების ის დამახინჯებანი და გადახრანი, რო-
 მელთაც ჯერ კიდევ აქვთ სოფლად ადგილი. რაიონის აღ-
 მასკომებმა და სოფლის საბჭოებმა უნდა ისწავლონ საბ-
 ჭოთა ხელისუფლების კლასიური პოლიტიკის სწორი გა-
 ტარება. კაპიტალიზმის ფესვების აღმოფხვრის პოლიტიკის
 გატარება და კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდა-
 ციის გატარება მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე,
 და იმავე დროს კავშირის განმტკიცება საშუალო გლეხო-
 ბასთან. კოლმეურნეობებზე, საბჭ. მეურნეობებზე და სა-
 მანქანო-სატრაქტორო სადგურებზე დაყრდნობით, სოფ-

ლის საბჭოები და რაილმასკომები ლაიონ-საშუალო მა-
სების ნამდვილ ხელმძღვანელებად უნდა გახდეს სოცლის
სოციალისტურ გარდაქმნაში.



მორიგი საარჩევნო კამპანია ჩატარებულ იქნა გასწე-
ვებული კლასიური ბრძოლის პირობებში, როცა კაპიტა-
ლისტური ელემენტი და განსაკუთრებით კულაკობა აქ-
ტიურ წინააღმდეგობას გაუწევს სოციალისტურ შეტევას,
შეეცდება საბჭოებში პირადად გაძრომის ან თავისი აგენ-
ტების საშუალებით გააძნელოს სოციალისტური ინდუს-
ტრიისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ჩქარ-
ი ზრდა, შეეცდება ჩაშალოს საბჭოების მუშაობა. საბ-
ჭოთა ხელისუფლების მტრული ელემენტების ამ ცდებს
უნდა დაუპირისპირდეს შემქმნდროება მუშათა კლასისა,
რომელიც ლაიონებსა და კოლმეურნეებს უნდა დაეყრდ-
ნოს, განამტკიცოს კავშირი საშუალო გლეხობასთან და
გადამჭრელი პასუხი უნდა გასცეს საბჭოთა ხელისუფლე-
ბის ყველა მტერს.

სსრკ ცაკის პრეზიდიუმის მიერ ა. წ. 3 ოქტომბერს
დამტკიცებული საარჩევნო ინსტრუქცია მოუწოდებს ხე-
ლისუფლების ადგილობრივსა და ცენტრალურ ორგანო-
ებს მაქსიმალურად დარაზმონ პროლეტარიატი და მშრო-
მალი მასები სოციალიზმის წარმატებით მშენებლობისა
და კლასიური მტრის წინააღმდეგ შემდეგი შეტევისათვის
და არ შეუშვან ექსპლოატატორები ხელისუფლების არც
ერთს ორგანოში. ამ მხრივ დამტკიცებული საარჩევნო
ინსტრუქცია სასტიკად იცავს 1926 წლ. ინსტრუქციით
დადგენილ პრინციპს და ნებას არ აძლევს ექსპლოატატო-
რებს არა თუ ისარგებლოს არჩევის უფლებით ან არჩეუ-
ლი იქნეს, არამედ საარჩევნო კრებებზე დასწრებასაც კი
უკრძალოს.



მიმდინარე წლის 3 ოქტ. დამტკიცებული საარჩევნო ინსტრუქცია არ აფართოებს საარჩევნო უფლებას წარმეულ პირების კონტიგენტს და ამასთანავე არ აკმაყოფილებს ახალი სიზუსტით ჩამოსთვლის ინსტრუქციაში ბიუჯეტის ახასიათებს კულაკურ, ექსპლოატატორულ მეურნეობებს, რომელთა სრულწლოვან წევრებსაც უნდა წაერთვას საარჩევნო უფლება; ამასთანავე ეს ინსტრუქცია შევსებულია ახალი ნიშნებითაც; ინსტრუქციის ახალ სიზუსტეებს უნდა მიეკუთვნოს, სხვათა შორის, ისიც, რომ საარჩევნო ინსტრუქციის ახლანდელი ტექსტი შეთანხმებულია სასოფლო მეურნეობის მთლიანი გადასახადის კანონთან იმ ნაწილში, რაც იმ კულაკურ მეურნეობათა ნიშნებს განსაზღვრავს, რომლებიც ინდივიდუალურად უნდა დაიბეგროს. ამნაირად, საარჩევნო ინსტრუქცია კვლავ შეიცავს 1926 წლის ინსტრუქციის ყველა მითითებას, თუ ვის უნდა წაერთვას საარჩევნო უფლება, და ამავდროს იგი შევსებულია კიდევ იმ ახალი ნიშნებით, რომლებიც აზუსტებს კულაკური, ექსპლოატატორული მეურნეობის ცნებას. ამგვარ მეურნეობას ეკუთვნიან, მაგ., ის პირები, რომლებიც დამმონებელი პირობებით იღებენ მიწებს იჯარით, ის პირები, რომლებიც სავაჭრო, სამრეწველო ექსპლოატაციის მიზნით იღებენ იჯარით ბალებს, ვენახებს და სხვ., ის პირები, რომლებიც სისტემატიურად აჭირავენ საცხოვრებლად ან საწარმოოდ მოწყობილ ცალკე შენობებს, უკეთუ ყველა ეს პირი კანონით სასოფლო-სამეურნეო ინდივიდუალური გადასახადითაა დასაბეგრავი, როგორც კულაკური მეურნეობანი, და აგრეთვე ექსპლოატატორული ელემენტები მეთევზეთა შორის. ამ განყოფილებაში შეტანილი სხვა განზუსტებანი იმ პირებს ეხება, რომელთა ნუსხა 1926 წლ. ინსტრუქციაშიც იყო მოყვანილი.



როდგანაც ანგარიში გაეწია წინანდელ საარჩევნო კომ-
 პანიებსა და განსაკუთრებით იმ დამახინძეებს, რომლის
 ძალითაც 1930 წლის დასაწყისში საარჩევნო უწყის
 უკანონოდ ართმევდნ ხოლმე საშუალებებს მათ
 წილს, ამიტომ 1930 წლ. 3 ოქტომბერს დამტკიცებულ
 ინსტრუქციაში მეტი ყურადღება ექცევა იმ განყოფილე-
 ბას, სადაც ნათქვამია, ვის არ შეიძლება წაერთვას საარ-
 ჩევნო უფლება. ინსტრუქციის ეს განყოფილება შეესე-
 ბულია, მაგალითად, იმ მითითებებით, რომ საარჩევნო უფ-
 ლება არ წაერთმევა შემდეგ პირებს (უკეთუ ამ პირებს
 საარჩევნო უფლება წართმეული არ აქვთ სხვა მოსაზრე-
 ბით): სეზონურ სამუშაოებზე წასულ გლეხებსა და მათ
 ოჯახებს, რომელთაც წასული წევრის მაგიერ ერთი მუ-
 შა დაუქირავებიათ, ფაბრიკა-ქარხნების მუშებსა და მათ
 ოჯახებს, რომელთაც კავშირი არ გაუწყვეტიათ სასოფლო
 მეურნეობასთან და თავიანთი მეურნეობაში 1 მუშაზე მეტი
 არ დაუქირავებიათ; გლეხები, მეჯოგეები, შინამრეწვე-
 ლები და მეთევზეები, რომლებიც თავიანთი წარმოების
 პროდუქტებს ბაზარში ასალებენ; იმ საცხოვრებელ შე-
 ნობათა პატრონები, რომელთა შემოსავალიც დაუბეგრავ
 მინიმუმს არ აღემატება; სხვადასხვანაირ საწარმოთა პა-
 ტრონებს, რომლებსაც არ აქვთ მექანიკური მამოძრავე-
 ბელი და რომლებიც ნაქირავებ შრომას არ იყენებენ,
 უკეთუ ესენი მოსახლეობას არ იმონებენ სამუშევრის შინ
 მიცემით და თავიანთ საწარმოებს იჯარით არ იძლევიან;
 იმ პირებს, რომლებიც სახელმწიფო სესხების მოგებათა
 და პროცენტების შემოსავლით, სახელმწიფო შრომის შე-
 მნახველ სალაროებში მოთავსებულ ნამომკირნევი თან-
 ხების შემოსავლით სცხოვრობენ, აგრეთვე იმ პირებს,
 რომლებიც უცხოეთიდან იღებენ ინვალიდობის საზღვევ



ფულს; საარჩევნო უფლება წართმეული პირების მიე-
 ლებას, რომლებიც სრულწლოვანი გახდნენ 1925 და მომდ-
 ენო წლებში და სრულწლოვანობამდე მსარჩევნო უფ-
 ლეებზე იყვნენ, ხოლო ახლა დამოუკიდებელი სახელმწიფო-
 დობრივ-სასარგებლო შრომას ეწევიან, თუნდაც ესენი
 მშობლებთან ერთად სცხოვრებდნენ. ესა და სხვა ნაკლებ
 მნიშვნელოვანი ახალი დამატებანი, რომლებიც ამ განყო-
 ფილებაშია შეტანილი და საარჩევნო უფლებაწართმეული
 ამრჩევლებისა და პირების წრეს განსაზღვრავს, საბჭოთა
 არჩევნების ორი ჩატარებული კამპანიის (1927 და 1929
 წ.) პრაქტიკიდან გამომდინარეობს, რა კამპანიაც 1926
 წლ. ინსტრუქციის საფუძველზე იყო ჩატარებული. რა
 კი იმ საწარმოო ურთიერთობიდან გამოვლივართ, რომე-
 ლიც სოფელში არსებობდა და არსებობს, და რომელი
 ურთიერთობაც კოლმეურნეობაში შესულ საშუალო
 გლეხს საბჭოთა ხელისუფლების დასაყრდენად ხდის, ინ-
 სტრუქციაში გათვალისწინებულია, რათა საარჩევნო კო-
 მისიებში მოჯამაგირეებსა და ლარიბებთან ერთად კოლ-
 მეურნეებიც იქნენ შეყვანილნი.

ის ახალი რამ, რაც 1926 წლ. საარჩევნო ინსტრუქ-
 ციაში არ იყო, შემდეგია: საარჩევნო კომისიებს უფლება
 აქვთ საარჩევნო უფლება მისცენ უცხოელ მუშებთან და
 ნაჭირავეები შრომის არ გამომყენებელ გლეხებთან ერთად
 იმ უცხოელ მოქალაქეებსაც, რომლებიც მოსამსახურეთა
 კათეგორიას ეკუთვნიან, უკეთუ ამათ შესახებ საკმაო სა-
 ბუთი მოიპოვება მათი სრული ლოიალობისა საბჭოთა ხე-
 ლისუფლების მიმართ. ახალია აგრეთვე ის მითითებაც,
 რომ საარჩევნო უფლებაწართმეულ პირთა სიების შედ-
 გენა დოკუმენტალური ცნონების საფუძველზე სწარმო-
 ებს. ამ მითითებას ერთობ დიდი მნიშვნელობა აქვს, გან-

საკუთრებით სოფლისთვის, სადაც წინედ საარჩევნო უფ-
ლება წართმეულ პირთა სიებში ხანდახან შეჰქონდათ იო-
ლმე ისეთი მოქალაქეებიც, რომელთა შესახებაც ხო-
ლოდ ხმები დადიოდა, რომ ისინი წინედ უფლებათა
იყვენ და სხვ.

1930 წლ. 3 ოქტომბრის თარიღით დამტკიცებული ინ-
სტრუქცია პირველად ამყარებს განსხვავებას „საარჩევნო
უფლებაში აღდგენასა“ და „საარჩევნო უფლება წართ-
მეულ პირთა სიიდან ამორიცხვას“ შორის, ასეთი განს-
ხვავების საკიროება იმაში მდგომარეობს, რომ ერთს შემ-
თხვევაში, ე.ი. „აღდგენის“ შემთხვევაში, ჩვენ საქმე გვაქვს
ამა თუ იმ მოქალაქისთვის საარჩევნო უფლების კანო-
ნიერ წართმევასთან, როცა „აღდგენის“ აქტით სახელ-
მწიფო ამა თუ იმ მოქალაქეს უფლებას ანიჭებს აირ-
ჩიოს და თვითონაც არჩეულ იქნეს. მეორე შემთხვევაში
ე. ი. უფლებაწართმეულთა სიიდან „ამორიცხვის“ შემ-
თხვევაში კი ლაპარაკია ამ სიებში უკანონოდ შეტანილ
პირებზე, ე. ი. ისეთ პირებზე, რომლებსაც კანონით სა-
არჩევნო უფლება ვერ წაერთმევათ. და უკეთუ საარჩევნო
უფლებაში „აღდგენა“ ერთი კათეგორიისთვის აუცილე-
ბლად ქალაქის საბჭომ და აღმასკომმა უნდა დაამტკიცოს,
ხოლო სხვა კათეგორიისთვის — საკავშირო რესპუბლი-
კის ცაკმა, უფლებააყრილთა სიაში უკანონოდ შეტანილი
პირების „ამორიცხვა“ სწარმოებს, როგორც იმ ორგანოე-
ბის მიერ, რომელთაც ეს სიები დაამტკიცეს (რაილმას-
კომები და ქალაქის საბჭოები), ისე უფრო მაღლა მდგომ
საარჩევნო კომისიების მიერ.

იმასთან დაკავშირებით, რომ საარჩევნო უფლება-
წართმეული პირები სხვა მხრითაც არიან უფლებაშეზღუ-
დულნი (თანამდებობის მიღება ხელისუფლების ორგანო-



ებში, პროფკავშირის წევრად ყოფნა და (სხვ.) და რომ სა-
 არჩევნო უფლების უკანონოდ წართმევას, ისტორიულად
 შაოდან იღვენებოდა და მას სხვა შეზღუდვები არა
 კვირველია. უკანონოდ ეხებოდა, ამის შესახებ ინსტრუქ-
 ციაში-ცალკე შენიშვნაა გათვალისწინებული. ამ შენიშვნ-
 ნის მთავარი აზრი ისაა, რომ იმ მოქალაქეებს, რომლებმაც
 ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებში საჩივარი აღძრეს
 იმის შესახებ, რომ მათ უკანონოდ წაერთვათ საარჩევნო
 უფლება, მათი საჩივრის საბოლოო განხილვამდე ვერ შე-
 ეხება ვერავითარი შეზღუდვა, გარდა საბჭოების არჩევ-
 ნებში მონაწილეობის შეზღუდვის უფლებებისა. ინსტრუქ-
 ციაში გათვალისწინებულია აგრეთვე მთავრობის დაწე-
 სებულებაში თუ თანამდებობის პირთან წარსადგენი მი-
 მართვის (განცხადება, საჩივარი) განთავისუფლება საგა-
 დასახადო გამოსაღებისაგან (საღებზო გადასახადი). ამ
 განყოფილებაში ინსტრუქციით გათვალისწინებულია აგ-
 რეთვე — რაც 1926 წლ. ინსტრუქციაში არ იყო — იმ პი-
 რების მიცემა სისხლის სამართლის პასუხისგებაში, რომ-
 ლებიც ხელს უშლიან ამრჩევლებს თავიანთი საარჩევნო
 უფლების განხორციელებაში.

ინსტრუქციის მე-IV განყოფილებაში — საარჩევნო
 უფლების აღდგენისათვის — ახალი ის არის, რომ აღმი-
 ნისტრატითულად გადასახლებულთ, აგრეთვე იმ პირებს,
 რომელთა შესახებაც გამოტანილია სასამართლოს განა-
 ჩენი, რისი ძალითაც მათ საარჩევნო უფლება ერთმევათ,
 საარჩევნო უფლება აღედგინებათ, უკეთუ მათ ეს უფლება
 სხვა რაიმე საფუძვლით არ აქვთ წართმეული, იმ მომენ-
 ტიდან, როცა გათავდება ადმინისტრაციულ ღონისძიე-
 ბათა თუ სასამართლოს რეპრესიათა მათდამი მოქმედება

7755
 021572
 K 62.087
 2


სასამართლოს
 პარლამენტის
 ბრძანებით

სათანადო ორგანოების სპეციალურ დადგენილებათა გარეშე.



1930 წლ. 3 ოქტომბერს მიღებულ ინსტრუქციის შემოადინებული ახალი სტრუქტურული მუღიროვკების ჩამოთვლიდან სჩანს, რომ ეს ინსტრუქცია მცირე რაჲეთი განსხვავდება 1926 წლ. ინსტრუქციისაგან, ზოლო ის ფაქტი კი, რომ შეტანილი ცვლილებანი კულაკურ მეურნეობათა ნიშნებს უფრო ზუსტად გამოხატავს, გაცილებით აადვილებს ინსტრუქციის ხმარებას, თუმცა იგი იქ შეტანილ სიზუსტეთა შემდეგაც ისევ ერთობ რთულ კანონს წარმოადგენს. ეს სირთულე კანონ-ზომიერია იმდენად, რამდენადაც მეტად რთულია თვით განმარტება ნამდვილ კულაკურ, ექსპლოატატორულ მეურნეობათა ნიშნებისა ისე, რომ ამ კათეგორიაში საშუალო გლეხთა მეურნეობაში არ მოხვდეს. ამიტომ სრულიად შემცდარი იქნებოდა, რომ სწორედ ამ პოლიტიკურ კანონში გვეძებნა პირდაპირი სიზუსტე განმარტებათა დროს და ანგარიში არ გავვეწია იმ საერთო პოლიტიკური ხაზისა, პირობებისა და გარემოებისთვის, რომლებშიც ამ ინსტრუქციის გამოყენება მოხდება. ყოველ შემთხვევაში ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებსა და ადგილობრივ საარჩევნო კომისიებს დიდი პოლიტიკური სიმწიფე დასჭირდებათ იმისთვის, რათა პრაქტიკაში სწორედ გამოიყენონ საბჭოთა რესპ. კავშირის ცაკის მიერ გამოცემული საარჩევნო ინსტრუქცია, რისთვისაც იგი ძალიან კარგად უნდა იქნეს შესწავლილი ადგილობრივ და განსაკუთრებით კი საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელთა მიერ.

წარსული კამპანიების გამოცდილებით ვიცით, რომ ადგილობრივ სსრკ ცაკის საარჩევნო ინსტრუქციის გულ-



მოდგინე შესწავლისა და მისი სწორი გამოყენების მიზნით, თავიანთი ადგილობრივი ინსტრუქციების გამოგონებას უფრო სცდილობდნენ ხოლმე, რომლებმაც ცაქის ინსტრუქციის აზრი მახინჯდებოდა. ანგარიშით გადახრებამდე მივყავდით ხოლმე. ამიტომ დამტკიცებულ საარჩევნო ინსტრუქციაში ლაპარაკია იმაზე, რომ: „საქიროა ვიხელმძღვანელოთ მთელს სსრ კავშირში ერთი საარჩევნო კანონმდებლობით. ამ საარჩევნო ინსტრუქციის რაიმე ცვლილებანი, ადგილობრივი ცხოვრების პირობებთან დაკავშირებული, შეიძლება დაშვებულ იქნეს ყოველ ცალკე შემთხვევაში მხოლოდ სსრ კავშირის ცაქის პრეზიდიუმის საგანგებო ნებართვით“. უნდა მოვახერხოთ, რომ სრულიად საკავშირო საარჩევნო ინსტრუქციის მითითება აუცილებლად განხორციელდეს. ამას მოითხოვს სოფელში კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ სოციალისტური შეტევის სწორი გატარება. ამასვე მოითხოვს ლენინური პოლიტიკის სწორი გატარება სოფლად, იმ პოლიტიკისა, რომელიც იმასთან დაკავშირებით, რასაც სკპ (ბ) მე-XVI ყრილობა საშუალო გლეხობის შესახებ ამბობს, რომ კოლმეურნეობაში შესული შუათანა საბჭოთა ხელისუფლების დასაყრდენი უნდა გახდესო, ეს პოლიტიკა შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ: დაეყრდნე ლარობსა და კოლმეურნეს, განამტკიცე კავშირი საშუალო გლეხობასთან, გადაჭრით შეუტეე კაპიტალისტურ ელემენტებს.

საქიროა აღინიშნოს, რომ სრულიად საკავშირო საარჩევნო კანონმდებლობის ზუსტი შესრულების მოთხოვნა სწორედ ამ ლენინური პოლიტიკის სოფლად ზუსტი და გადამწყვეტი გატარების მოსაზრებითაა ნაკარნახევი. ამ პოლიტიკის განხორციელებამ თავისი გამოხატულება უნ-

და ჰპოვოს საარჩევნო კამბანიის ყოველ კატეგორიაში, მისი მოსამზადებელი მუშაობიდან დაწყებული და საბჭოებში დეპუტატების არჩევით გათავებული. **ეკონომიკური მზადებისა და ამრჩეველთა წინაშე საბჭოებში წარმომადგენლების დროს საჭიროა მივალწიოთ მუშების, მოჯამაგირეებისა და ლარიბების მაქსიმალურ შემკიდროებას, მოვახერხოთ, რომ მუშათა კლასის ყველა ორგანიზაცია სოფლად ნადვილად გახდეს საბჭოების არჩევნების ხელმძღვანელი და შესძლოს საშუალო გლეხის გაყოლიება კულაკის წინააღმდეგ საბრძოლველად. აი ამ თვალსაზრისით უნდა ჩატარდეს საანგარიშო მოხსენებათა წინასწარი განხილვა, საბჭოებში კანდიდატების წამოყენება და სხვა ლარიბთა ჯგუფებსა და კრებებზე. მუშებას, მოჯამაგირეებისა და ლარიბების მაქსიმალურად შეკავშირებითა და საშუალო გლეხობასთან კავშირის განმტკიცებით შეიძლება მხოლოდ წარმატებით გატარდეს კაპიტალისტური ელემენტების იზოლიაცია, წარმატებით განხორციელდეს მთლიანი კოლექტივიზაცია და კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაცია, მხოლოდ ამ გზით შევძლებთ ჩვენ პროლეტარული დიქტატურის ორგანოების — საბჭოების განმტკიცებას.**

6-10

n302/15



ქართული
ბიბლიოთეკა

